## საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს

## სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№117 21 ივნისი 2013წ.

**საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1 ნაწილის და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის ... ნოემბრის N 59 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის „ლ" და „ნ" პუნქტების საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის შინაგანაწესი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2012 წლის 26 მარტის N52 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე".
3. დაევალოს საქმის წარმოების სპეციალისტს, მაია ჯანვირაშვილს, წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
4. ბრძანება შეიძლება გაასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N42) ან/და გარდაბნის რაიონულ სასამართლოში (მის: გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. N 14).

დირექტორი



210